



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49221198

თარიღი:29/04/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 56

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ

2021 წლის მე- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2021 წლის მე-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში 2021 წლის მე- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2021 წლის მე- IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ
2021 წლის მე- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 2021 წლის მეოთხე კვარტალში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურიდან დახმარება გაეწია სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებს მათ შორის:

მესამე შვილის შეძენის გამო დახმარება გაეწია -17 ოჯახს 500 ლარის ოდენობით.

მეოთხე შვილის შეძენის გამო -3 ოჯახს -700 ლარის ოდენობით

ტყუპი შვილის შეძენის გამო ერთ ოჯახს- 500 ლარის ოდენობით

სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან 9 ოჯახს -300 ლარის ოდენობით

სოციალურად დაუცველ ორ ოჯახს ახალშობილის შეძენის გამო -300 ლარის ოდენობით

სარიტუალო ხარჯების

ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 250 ლარის ოდენობით მიიღო იძულებით გადაადგილებული და ომის შემდგომ გარდაცვლილი პირების 18 ოჯახის წევრმა.

სოციალურად დაუცველ 16 ოჯახს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65 000-დან 100001-ი ქულის ჩათვლით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, გამოეყოთ თანხა 250 ლარის ოდენობით.

ერთჯერადი ფულადი დახმარება 350 ლარის ოდენობით გაეწია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის (სახელმწიფო გასაცემლის, კონპენსაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღებ 20 და სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ოთხ პირს. დახმარება 500 ლარის ოდენობით გაეწია ცერებრალური დამბლით დაავადებულ ერთ პირს, 300 ლარი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 8 პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით, 1800 ლარი თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ 3 პირს, 300 ლარი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 5 შშმ ბავშვს და მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე 5 პირს. 250 ლარი ფსორიაზით დაავადებულ ერთ ხოლო 200 ლარი პარკინსონით დაავადებულ 3 პირს, 500 ლარი ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ერთ შშმ ბავშვს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სტიქიის, ხანძრის შედეგად დამდგარი ზიანის აღრიცხვის, შესწავლის, შეფასებისა და დახმარების აღმოჩენის მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, დახმარება გაეწია ხანძრის და სტიქიის შედეგად დაზარალებულ 33 ოჯახს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 19 მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებლად თვეში ერთხელ გამოეყოფათ - 150 ლარი. აღნიშნული მუხლი გათვალისწინებულია იმ უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა ორი მოქალაქე თვეში 150 ლარით. სპეციალიზირებულ დაწესებულებიდან ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან/მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ ორ ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება 250 ლარი.

ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ 187 ბენეფიციარს საახალწლოდ ფულადი დახმარების სახით ჩაერიცხათ 100-100 ლარი.

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 555 მოქალაქეს, გაეწია თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციებისათვის, მათ შორის თვალის კოსმეტიკური და ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციებისათვის, ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევებისათვის, რომელიც არ ანაზღაურდა სადაზღვევო პოლისით ან არ იყო გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით, დაფინანსებები განისაზღვრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი წილის 50%-ით, არაუმეტეს -1000 ლარისა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური ასევე მუშაობს ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის ღონისძიებების მიმართულებით, ბავშვის ფლებათა კოდექსითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების და პროცედურების დაცვით.